1977/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

## № 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1977 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1977 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

88. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 მაისის № 382 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

89. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 26 ოქტომბრის № 392 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება**

90. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

91. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

92. გურჯაანის საქალაქო საზღვრების შესახებ.

93. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ დებულების დამტკიცების შესახებ.

94. „საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისათვის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარების დაგზავნის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილების დამატების თაობაზე.

95. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

96. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 აგვისტოს № 735 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ..

97.

98. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 26 აგვისტოს № 782 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

99. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 ივლისის № 617 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

100. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 ივლისის № 619 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

101. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 აგვისტოს № 748 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 88 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 მაისის № 382 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კვების მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 მაისის № 382 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. 27-ე პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 9 დეკემბრის № 1417 დადგენილებისა „ხეხილის სანერგეების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 6 აპრილის № 400 დადგენილება „1945 წლის მოსავლის ნედლეულის გადამუშავების სეზონისათვის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ჩაის ტრესტის ჩაის ფაბრიკების მომზადების ღონისძიებათა შესახებ“.

3. მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 12 ივლისის № 1078 დადგენილებისა „ჩაის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 3 ივლისის № 993 დადგენილება „საბჭოთა შამპანურის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1977 წ. 6 სექტემბერი, № 633.

## 89 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 26 ოქტომბრის № 1392 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 12 აგვისტოს № 642 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 26 ოქტომბრის № 1392 დადგენილება „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისათვის დახმარების აღმოჩენისა და მისი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1977 წ. 20 სექტემბერი, № 671.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

## 90 წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1977 წლის 5 ივლისის № 604 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. დაწესდეს, რომ:

— წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, საქალაქო და სასოფლო რაიონების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების მიხედვით შეჯამდება მეათე ხუთწლედის ყოველ წელს და მთლიანად ხუთწლედში მათ მიერ სახალ-

ხო-სამეურნეო გეგმებისა და ხუთწლედის დავალებების შესრულების შედეგების შესაბამისად, შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების გათვალისწინებით, ამასთან გამარჯვებულებს გადაეცემათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და დიპლომები;

— 1977 წელს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებულ იქნება აგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში მოპოვებული შედეგები;

— მასალებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად და წინადადებებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და დიპლომებით გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ წარმოუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 20 იანვრამდე:

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციების, სხვა ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, დარგობრივ პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტები;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, სასოფლო რაიონების მიხედვით — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი;

სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების მიხედვით, რომლებიც ჩაბმული არიან უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად კომპლექსური პროგრამების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში,—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭო;

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და საქალაქო (ქ. თბილისის) რაიონების მიხედვით — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო;

— მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით.

2. შენარჩუნებულ იქნეს დარგებში მოქმედი გაერთიანებების, მათი საწარმო ერთეულების, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრებისა და სხვა ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების კვარტალობრივი (ნახევარწლიური, წლიური) შეჯამების წესი, იმ ვარაუდით, რომ გამარჯვებულებს გადაეცეთ შესაბამისი სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები.

3. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ფულადი პრემიები მიეცეთ:

— სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებს, მშენებლობებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, აგრეთვე გაერთიანებათა საწარმოო ერთეულებსა და წარმოებებს, გემების ეკიპაჟებს — ზეგეგმითი მოგების ხარჯზე, ხოლო მისი უკმარობისას — მოგების თავისუფალი ნაშთის ან თვითღირებულების შემცირების ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რაც საწარმოო გაერთიანებამ, საწარმომ, მშენებლობამ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ მიიღო კალენდარული წლის დამდეგიდან.

აღნიშნული წყაროების უქონლობისას გაერთიანებათა საწარმოო ერთეულებსა და წარმოებებს, გემების ეკიპაჟებს პრემიები მიეცემათ სამინისტროს (უწყების) მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული (სარეზერვო) ფონდიდან ან ამ დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნული სახსრების ხარჯზე;

— სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს — ზეგეგმითი მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რაც მათ მიიღეს კალენდარული წლის დამდეგიდან, ხოლო ზეგეგმითი მოგების ან ეკონომიის უკმარობისას — სამინისტროს (უწყების) ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე;

— სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-ტექნოლოგიურ და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრებს — იმ მოგების ხარჯზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად რჩება ამ ორგანიზაციათა განკარგულებაში, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფთ — საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ეკონომიის ანგარიშში.

აღნიშნული სახსრების უკმარობის შემთხვევაში ფულადი პრემიები შეიძლება გაიცეს სამინისტროს (უწყების) ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდის ხარჯზე;

— საპროექტო და საძიებო ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს კაპიტალური მშენებლობისათვის, — მათ მიერ კალენდარული წლის დამდეგიდან მიღებული ზეგეგმითი მოგების ხარჯზე, ხოლო მისი უკმარობისას დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ ორგანიზაციებში — ორგანიზაციის მოგების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე;

— ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს (სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების გარდა) — მათი ხარჯთაღრიცხვების ეკონომიის ანგარიშში, ხოლო ამ სახსრების უკმარობისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხარჯთაღრიცხვების საერთო ეკონომიის ანგარიშში (კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიის გარდა) შესაბამისი ბიუჯეტის (რაიონული, საქალაქო, საოლქო და სხვა ბიუჯეტის) ფარგლებში, რომლის სახსრებითაც ხორციელდება ამ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხარჯების დაფინანსება;

— საბჭოთა მეურნეობებს, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე;

— ბრიგადების, უბნების, განყოფილებების, ფერმებისა და რგოლების კოლექტივებს, წარმოების მოწინავეებს სოფლის მეურნეობაში — ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, ხოლო წამყვან პროფესიათა მუშაკებს, ბრიგადების, უბნების კოლექტივებს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში — ამ დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნული სახსრების ხარჯზე;

— სამრეწველო გაერთიანებებს (მმართველობის აპარატს) — სამინისტროს (უწყების), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ცენტრალიზებული ამ გაერთიანებათა მატერიალური წახალისების ფონდების იმ სახსრების ნაწილის ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის;

— სასოფლო რაიონებს, კოლმეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს — საკავშირო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე;

— ქალაქებსა და საქალაქო რაიონებს — ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

4. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1977 წლის 5 ივლისის № 604 დადგენილებით:

— აღნიშნული დადგენილების დანართით გათვალისწინებულ საწარმოო სამინისტროებსა და უწყებებს გაუდიდდათ მეათე ხუთწლედში სახსრების ოდენობა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო-ორგანიზაციების მუშაკებისათვის პრემიების მისაცემად და სამახსოვრო საჩუქრების შესაძენად ხელფასის საერთო ფონდის 0,05-დან 0,1 პროცენტამდე;

— ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების დანარჩენ სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საოლქო საბჭოების აღმასკომებს გამოიყენონ ამ მიზნებისათვის საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელფასის ფონდის ეკონომიის ნაწილი ხელფასის საგეგმო ფონდის 0,05 პროცენტამდე ფარგლებში;

— უფლება მიეცათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დართონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საოლქო საბჭოების აღმასკომებს საჭიროების შემთხვევაში გადასცენ ამ სახსრების ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაწესდა, რომ:

პრემიების გასაცემად და სამახსოვრო საჩუქრების შესაძენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამინისტროთა (უწყებათა) მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდებისა და საწარმო-ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდების სახსრები.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაუყვანელ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებსაც არ გააჩნიათ მატერიალური წახალისების ფონდები, ნებადართულია გამოიყენონ აღნიშნული მიზნებისათვის სხვა წამახალისებელი ფონდების სახსრების ნაწილი, რაც გათვალისწინებულია მუშაკთა პრემირებისათვის;

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე სამრეწველო წარმოების, მშენებლობისა და ტრანსპორტის მოწინავეებისათვის გამოიყენება მატერიალური წახალისების ღონისძიებანი იმ მოცულობითა და ოდენობით, რასაც ითვალისწინებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1972 წლის 14 აგვისტოს № 610 დადგენილება სოფლის მეურნეობის მოწინავეებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომებით ან მედლებით დაჯილდოებულ პირებს ნატურალური პრემიებისა და ფასიანი საჩუქრების ნაცვლად მათი სურვილისამებრ შეიძლება მიეცეთ ფულადი გასამრჯელო ნატურალური პრემიებისა და ფასიანი საჩუქრების ღირებულების ოდენობით;

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, საქალაქო და სასოფლო რაიონების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობებს შეიმუშავებს საკავშირო პროფსაბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად;

მასალებს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოსავლენად მოამზადებენ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

5. დაწესდეს, რომ:

— ფულადი პრემიები რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქების, საქალაქო და სასოფლო რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის განისაზღვრება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 17 თებერვლის № 83 დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით, ხოლო სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა, მშენებლობათა, ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა, სამეცნიერო-კვლევით და სხვა ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის — 38 ათას მანეთამდე ოდენობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართვე-

ლოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის 1 დეკემბრის № 65ბ დადგენილების № 2 დანართის თანახმად;

— ქალაქების, საქალაქო და სასოფლო რაიონებისათვის მინიჭებული ფულადი პრემიების არანაკლებ 85 პროცენტი უნდა მოხმარდეს წარმოების მოწინავეთა პრემირებას;

— იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ინდივიდუალური პრემირებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შეჯიბრებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სადაც დარიცხული პრემია 2 ათას მანეთზე ნაკლებს შეადგენს, — გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე, ხოლო იქ, სადაც დარიცხული პრემია 2 ათას მანეთს აღემატება, — გამოყოფილი თანხის 70 პროცენტამდე. პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოიყენება საცხოვრებელი სახლების, სასადილოებისა და საერთო საცხოვრებლების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და ბაზების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, პიონერთა ბანაკების, სპორტული ნაგებობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და ჯანმრთელობის დაცვის სხვა ობიექტების ასაშენებლად და შესარემონტებლად, მათთვის მოწყობილობისა და ინვენტარის, საქარხნო ბიბლიოთეკებისათვის ლიტერატურის შესაძენად, კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად;

— მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური პრემირებისათვის განკუთვნილი სახსრები ნაწილდება მათი ხელფასის ფონდიდან და მატერიალური წახალისების ფონდიდან გაცემული თანხების პროპორციულად;

— გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიის მინიჭებისას ზემდგომ ორგანიზაციას შეუძლია გენერალურ დირექტორებს (დირექტორებს), მათს მოადგილეებს, მთავარ ინჟინრებსა და მთავარ ბუღალტრებს მისცეს პრემიები თვიური თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო სამინისტროს (უწყების) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისა და პირველი ფულადი პრემიის მინიჭებისას — 25 პროცენტამდე; მეორე და მესამე ფულადი პრემიების მინიჭებისას — 20 პროცენტამდე;

— სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პრემირების სახსრებს გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხარჯავენ პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით.

საჭიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით გასაცემი პრემიების მნიშვნელობა, უფრო სრულად იქნეს გათვალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინებული პრემირებისას მუშაკთა პირადი წვლილი შრომითი კოლექტივის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის საქმეში, დაშვებული არ იქნეს გათანაბრებითი მიდგომა პრემიების გაცემისადმი.

დაწესდეს, რომ ერთი მუშაკის პრემიის მინიმალური თანხა მისი თვიური სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) 10 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარის მოადგილე<br>**შ. კიკნაძე.** | საქართველოს პროფკავშირთა<br>რესპუბლიკური საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**თ. მოსაშვილი.** |

ქ. თბილისი, 1977 წ. 20 სექტემბერი, № 646.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 91 საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 23 ოქტომბრის № 612 დადგენილება „საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 14 სექტემბერი, № 630.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 14 სექტემბრის № 630
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ახორციელებს ხელმძღვანელობას დახერხილი მასალების, ავეჯის, ფანერის, მერქნის ფილების, დეტალების, პარკეტისა და მერქნისაგან დამზადებულ სხვა ნაკეთობათა წარმოების მრეწველობისადმი.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო პასუხისმგებელია რესპუბლიკაში ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ტექნიკური დონისათვის, აგრეთვე პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის და იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი პროდუქციაზე, რომელსაც სამინისტროს საწარმოები უშვებენ.

2. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— ყოველმხრივ განავითაროს ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობა, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილი, უზრუნველყოს წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფი ტემპი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მოსახლეობისა და თავდაცვის მოთხოვნილებანი მისი საწარმოების მიერ გამომუშავებულ ყველა სახეობის პროდუქციაზე;

— შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა;

— არსებითად გააუმჯობესოს ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობის წარმოების სტრუქტურა მერქნის ნედლეულის კომპლექსური გამოყენებისა და მერქნის მექანიკური დამუშავების განვითარების ბაზაზე;

— დანერგოს მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევები, უზრუნველყოს წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლები, ყოველმხრივ განავითაროს ახალ ეკონომიურ და ეფექტიან ნაკეთობათა წარმოება;

— რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ღირებულება და ვადები, დროულად აამოქმედოს საწარმოო სიმძლავრეები და ძირითადი ფონდები, აგრეთვე მოკლე ვადებში აითვისოს საწარმოო სიმძლავრეები;

— დანერგოს შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, შექმნას წარმოებაში შრომის უსაფრთხო პირობები, უზრუნველყოს სამინისტროს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები კვალიფიციური კადრებით, შექმნას მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობები, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი;

— გააუმჯობესოს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

3. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო:

— მართავს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან იმ ორგანოების მეშვეობით, რომლებსაც იგი შექმნის დადგენილი წესით;

— წყვეტს დარგის ყველა საკითხს მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და შეუძლია დაავალოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

— თავის საქმიანობაში ახორციელებს კონტაქტებს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან და ამყარებს მათთან საქმიან თანამშრომლობას სადარგთაშორისო საკითხების შემუშავებისა და გადაწყვეტის დროს.

4. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, წარმოადგენს რა წამყვან უწყებას ხის დამუშავებისა და ავეჯის წარმოების დარგში, მონაწილეობს მისდამი დაუქვემდებარებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ამ სახეობათა წარმოების დაგეგმვაში და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

5. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებებით, სხვა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 თებერვლის № 127 დადგენილების შესაბამისად — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების ზოგადი დებულებით, 109-113-ე პუნქტების გარდა, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო განაზოგადებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მათი სრულყოფისათვის და დადგენილი წესით წარუდგენს ამ წინადადებებს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს.

6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის დარგში:

— შეიმუშავებს წინადადებებს რესპუბლიკის ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ;

—განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მერქნის ნედლეულის რაციონალური კომპლექსური გამოყენება (დაბალი ხარისხის მერქნისა და ხე-ტყის ხერხვის და ხის დამუშავების ნარჩენების მაქსიმალური გადამუშავება), საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვა და მოდერნიზაცია, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება;

— განსაზღვრავს, დამტკიცებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, და დაუგზავნის სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლო ციფრებს;

— შეიმუშავებს სამინისტროს სისტემაში შემავალი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ წარდგენილი საკონტროლო ციფრებისა და გეგმების პროექტების საფუძველზე საქართველოს სსრ ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს;

— განიხილავს დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობით და დაუმტკიცებს მათ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესაბამისად, ამასთან უზრუნველყოფს აღნიშნული გეგმების ყველა განაყოფისა და მაჩვენებლის შეთანხმებას;

— შეიმუშავებს და განახორციელებს სამინისტროს საწარმოების მიერ დამზადებული პროდუქციისა და საქონლის რეალიზაციის ღონისძიებებს;

— განსაზღვრავს სამინისტროებისა და დაინტერესებული ორგანოების წინადადებათა მიხედვით იმ ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების მოცულობას, რომელიც გათვალისწინებული არ არის სახალხო-სამეურნეო გეგმით;

— მიიღებს ზომებს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებისათვის;

— უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას სამინისტროს ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს, საწარმოო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის ნედლეულის, სათბობის, მასალებისა და ელექტროენერგიის ხარჯვისა და მარაგის ნორმებს, უზრუნველყოფს დამტკიცებული ნორმატივებისა და ნორმების დანერგვას;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს ან დასამტკიცებლად წარადგენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს; კონტროლს გაუწევს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ფასებისა და ტარიფების სწორად გამოყენებას;

— მოაწყობს პირველადს აღრიცხვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიიღებს და წარადგენს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს ღონისძიებებს აღრიცხვის პროგრესული მეთოდებისა და ფორმების დანერგვისათვის;

ბ) მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში:

— განახორციელებს სტატისტიკურ მუშაობას წარმოების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიკური დონისა და საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის შეფასებისათვის, განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენების გზებს და უზრუნველყოფს ხის დამამუშავებელი და ავეჯის მრეწველობის განვითარების მაღალ ტექნიკურ დონეს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე;

— ხელმძღვანელობას გაუწევს დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ამ ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს მათ საჭირო საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზით;

— უზრუნველყოფს წარმოების ორგანიზაციის მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესებისა და მეთოდების, აგრეთვე ახალ სახეობათა ნედლეულისა და მასალების შემუშავებას და დანერგვას წარმოებაში;

— გადაწყვეტს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით მოძველებულ სახეობათა პროდუქციის წარმოებიდან მოხსნის საკითხებს;

— უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას, შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით ტექნიკურ პირობებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ ნადადებათა დანერგვას, ამასთან განახორციელებს მუშაობას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან და ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასთან ერთად;

გ) კაპიტალური მშენებლობის დარგში:

— უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ახალ მშენებლობათა რაციონალურად განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას ასამოქმედებელ ობიექტებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობათა და მომავალი წლების მშენებლობის საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიებს, კონტროლს გაუწევს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და მისაწოდებელი მოწყობილობის ხარისხისადმი;

— უზრუნველყოფს კონტროლს იმისადმი, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაანაწილონ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთები ამ მიზნით გამოყოფილ ასიგნებათა შესაბამისად;

— უზრუნველყოფს სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედებას, საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას დაწესებულ ვადებში და კონტროლს გაუწევს იმ მშენებლობის მიმდინარეობას, რომელსაც მოიჯარე ორგანიზაციები ახორციელებენ;

— დანიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს იმ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა საექსპლუატაციოდ მისაღებად, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია, დაამტკიცებს მიღების აქტებს;

— მოაწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; განახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის ამაღლებისა და მისი გაიაფებისათვის;

დ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში:

— განსაზღვრავს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებას მოწყობილობაზე, ნედლეულზე, სათბობსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე და დადგენილი წესით წარუდგენს მათ შესაბამის მგეგმავ ორგანოებს; განაგებს სამინისტროსათვის გამოყოფილ მატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

— გაანაწილებს სამინისტროებისათვის გამოყოფილი ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდებს საწარმოთა და დაწესებულებათა შორის, აგრეთვე გადაანაწილებს საჭირო შემთხვევებში აღნიშნულ ფონდებს საწარმოო პროგრამისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროდუქციის შინასასისტემო და კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმებს იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებლად შესრულდეს გარესასისტემო მიწოდებანი მოცემული მოცულობით;

— კონტროლს გაუწევს ნედლეულის, მასალების, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციას, აგრეთვე სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებათა დროულად დადებას და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

— კონტროლს გაუწევს იმას, რომ სამინისტროს საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა სწორად შეინახონ და გამოიყენონ ნედლეული, სათბობი, მოწყობილობა და სხვა მატერიალური რესურსები და ფასეულობანი, მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ნედლეულის, მასალების, სათბობის ეკონომიურად ხარჯვისათვის, წარმოებაში დანაკარგების შემცირებისათვის, საწარმოო ნარჩენების გამოყენებისათვის და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას;

ე) ფინანსებისა და კრედიტის დარგში:

— განახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რენტაბელობის ამაღლებისა და დაგროვების გადიდებისათვის, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენებისათვის;

— დააფინანსებს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას, განახორციელებს კონტროლს ფინანსური რესურსების გამოყენებისადმი;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვას, დროულად ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ იმ საკუთარი სახსრების გადარიცხვას, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტის, კაპიტალური მშენებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის;

— შექმნის დადგენილი წესით ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ფონდს და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

— ამოიღებს ზედმეტ საბრუნავ სახსრებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების წლიური ანგარიშების შედეგების მიხედვით მათი გადანაწილების წესით;

— გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგების, ახალი ტექნიკის ფონდის შესაქმნელი თანხებისა და სხვა სახსრების გადასანაწილებლად, აგრეთვე გახსნის ცალკეულ ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების და კაპიტალური რემონტის ანარიცხთა რეზერვის სახსრების შესანახად;

— დაამტკიცებს სამინისტროსათვის დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს კრებსით ბალანსებსა და ანგარიშებს სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

— მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, მეურნეობის მდგომარეობისა და მისი ეკონომიკის ყოვლისმხრივ ანალიზს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში; კონტროლს გაუწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებასა და უტყუარობას;

ვ) კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კვალიფიციურ მუშაკთა კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, შეისწავლის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კადრებს და შექმნის რეზერვს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა, ნიჭიერ, წარჩინებულ მუშაკთა დასაწინაურებლად, კონტროლს გაუწევს ახალგაზრდა სპეციალისტთა სწორად გამოყენებას და განახორციელებს ღონისძიებებს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუდმივი კადრების შესაქმნელად;

— ხელმძღვანელობას გაუწევს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, განახორციელებს ღონისძიებებს შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების მტკიცედ დაცვისათვის;

— შეიმუშავებს და შემოიღებს დადგენილი წესით საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამომუშავების (მომსახურების) ერთიან და ტიპობრივ ნორმებს და მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივებს; მოაწყობს პროფკავშირის რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურ კომიტეტთან ერთად მუშაობას სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამომუშავების (მომსახურების) ნორმების გადასასინჯად და განახორციელებს სხვა ღონისძიებებს შრომის ნორმირების დარგში;

— უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას, აგრეთვე სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; კონტროლს გაუწევს ხელფასის ფონდისა და წახალისების ფონდების ხარჯვას;

— დააწესებს და შეცვლის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სქემის შესაბამისად და თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო სარგოების მიხედვით გამოანგარიშებული სამინისტროს ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების დროულად განხილვისათვის, ამასთან მიაღწევს აღნიშნულ წერილებში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებში მითითებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას შეეხება.

7. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად:

— ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

— მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას, დაამტკიცებს რესპუბლიკური შეჯიბრების პირობებს; შეაჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და მიანიჭებს გამარჯვებულ კოლექტივებს გარდამავალ დროშებსა და ფულად პრემიებს, მიაკუთვნებს კომუნისტური შრომის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წოდებას, მოაწყობს მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას;

— დააჯილდოებს საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით და გამოიყენებს სხვა სახის წახალისებას.

8. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვასა და სახანძრო უსაფრთხოების წესების შესრულებას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, და მიიღებს ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

9. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის ხალ. მინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეიტანება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მოადგილეებს შორის მოვალეობებს ანაწილებს მინისტრი.

10. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი პერსონალურად პასუხისმგებელია იმ ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, რომლებიც დაკისრებული აქვს სამინისტროს, განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს განყოფილებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

11. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი:

— ხელმძღვანელობს სამინისტროს, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას;

— დანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს თანამდებობიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებსა და სამინისტროსათვის დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

— წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად კანონთა და დადგენილებათა პროექტებს ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობის საკითხებზე;

— გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, გასცემს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და შეამოწმებს მათს შესრულებას;

— გამოსცემს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

— გააუქმებს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

— დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) შესახებ;

—შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე დაამტკიცებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წესდებებს;

— გადაწყვეტს დადგენილი წესით თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შენობა-ნაგებობების, ქონებისა და ფასეულობათა მიღებასა და გადაცემას ბალანსიდან ბალანსზე ან ღირებულების ანაზღაურებით;

— მოიწვევს დადგენილი წესით თათბირებს, რომლებზეც განიხილება მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები და სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

12. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობის განვითარების საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, მოისმენს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განსახილველად, ხის დამმუშავებელი და ავეჯის მრეწველობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსასაზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების გამოყენებისა და დანერგვისათვის, ასევე მენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი.

14. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება სამხატვრო-ტექნიკური საბჭო, რომელიც დაამტკიცებს მოსახლეობისათვის მისაყიდი ავეჯის პროექტებსა და ნიმუშებს.

სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო-ტექნიკური საბჭო თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით მოსახლეობისათვის მისაყიდი ავეჯის პროექტებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ.

15. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო შექმნის სამინისტროს საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად არბიტრაჟს, რომელსაც უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებები, რომლებიც დაავალდებულებენ მხარეებს იძულებითი წესით შეასრულონ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი.

16. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრს შეუძლია სამინისტროს განყოფილებები გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე.

17. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 92 გურჯაანის საქალაქო საზღვრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი გურჯაანის საქალაქო საზღვრების პროექტი თანდართული აღწერილობის თანახმად.

გურჯაანის საქალაქო საზღვრებში მოქცეული ტერიტორიის საერთო ფართობი განისაზღვროს 716,19 ჰექტარით.

2. დაწესდეს, რომ ქ. გურჯაანის საზღვრებში მოქცეული ფართობი წარმოადგენს ქალაქის მიწის ფონდს, ამ მიწაზე აეკრძალოს ყველა მიწათმოსარგებლეს ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოების შესრულება და მრავალწლოვანი კულტურების რგვა გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეუთანხმებლად. ამასთანავე დაწესდეს, რომ ქალაქის მიწის ფონდში შემავალი გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მიწები რჩება მისსავე სარგებლობაში და მათი გადაცემა ქალაქის ზრდა-განვითარების კვალობაზე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ბრძანებულების პროექტი გურჯაანის საქალაქო საზღვრების დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 22 სექტემბერი, № 656.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 22 სექტემბრის № 656
დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქ. გურჯაანის საზღვრები და მისი აღწერილობა

საწყისი „A“ წერტილიდან, რომელიც, გეგმაზე პირობითი აღნიშვნის მიხედვით, მდებარეობს თბილისი-თელავის რკინიგზისა და ღრმა ღელის გადაკვეთაზე, საზღვრის ხაზი მიჰყვება ხევს აღმოსავლეთისაკენ „B“ წერტილამდე. მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 400 მეტრს. „B“ წერტილიდან საზღვარი მიიმართება, გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მიწებზე გავლით, ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (BC = 220 მ); შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (CD = 230 მ); „D“ წერტილიდან საზღვარი ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გადაკვეთს კოტეხის ხევს და გრძელდება სპორტული კომპლექსის ტერიტორიამდე (DE = 600 მ); „E“ წერტილიდან საზღვარი კვლავ მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (EF = 220 მ); „F“ წერტილიდან კი ისევ ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, არსებული ორჯონიკიძის ქუჩის პარალელურად (FG = 1100 მ); „G“ წერტილიდან საზღვარი გასდევს საურმე გზას ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და მთავრდება „საქმთავენერგოს“ ქვესადგურის წინ გამავალ გზასთან (GH = 520 მ); „H“ წერტილიდან საზღვრის ხაზი მიდის აღმოსავლეთისაკენ (HJ = 350 მ); შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (JK = 180 მ); „K“ წერტილიდან ისევ ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გაივლის ავტოსატრანსპორტო კანტორისა და ხორცკომბინატის ეზოების ღობეებზე (აღნიშნული ობიექტები რჩება ქალაქის ფარგლებში (KL = 650 მ) და „L“ წერტილიდან მიემართება სამხრეთისაკენ ახტალის ხევთან გადაკვეთამდე (LM = 200 მ); „M“ წერტილიდან საზღვრის ხაზი მიჰყვება ახტალის ხევს დასავლეთისაკენ (MN = 700 მ), „N“ წერტილში შორდება ხევს და გასდევს ქ. გურჯაანისა და სოფ. გურჯაანის გამყოფი ფალიაშვილის ქუჩის ღერძს სამხრეთ-დასავლეთისაკენ, გადაკვეთს რკინიგზის ხაზებს (NO = 800 მ) და „O“ წერტილიდან მიჰყვება რკინიგზის ხაზს ჩრდილო-დასავლეთისაკენ (OP = = 300 მ); „P“ წერტილიდან საზღვარი უხვევს სამხრეთ-დასავლეთისაკენ (PQ = 550 მ); შემოხაზავს გეოლოგთა დაწესებულებების ეზოს (QR = 200 მ) და „R“ წერტილიდან გასდევს ნავთის ხევს (RS = = 1100 მ); „S“ წერტილიდან საზღვარი მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ და მიჰყვება სახელმწიფო ტყის მასივის საზღვარს ახტალის ხევამდე (ST = = 1150 მ); „T“ წერტილიდან ისევ შეუთავსდება ახტალის ხევს და მიჰყვება მას დასავლეთისაკენ, (TV = 1000 მ); „U-V-X“ წერტილებით შემოხაზულია დასავლეთით საზღვარი, „ზღუდარის მიწების“ ქალაქში მოქცევით (UV = = 600 მ, VX = 470 მ); „X“ წერტილიდან საზღვარი შემობრუნდება აღმოსავლეთისაკენ და გასდევს კოტეხის ხევს (XY = 600 მ); „Y“ წერტილიდან საზღვრის ხაზი გაჰყვება ქ. გურჯაანისა და სოფ. ჩუმლაყის გამყოფ გზას ჩრდილოეთისაკენ (YZ = 800 მ); „Z“ წერტილიდან კი, რომელიც მდებარეობს თბილი-

სი-თელავის საავტომობილო გზატკეცილისა და ღრმა ღელის გადაკვეთაზე, მიჰყვება ღრმა ღელეს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და იკვრება საწყის „A“ წერტილში (ZA = 1100 მ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარია.

## 93 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ხუნწარია.

ქ. თბილისი, 1977 წ. 22 სექტემბერი, № 657.

ДАМТКИЦЕБУЛИА ЕРОВНУЛИ
БИБЛИОТЕКИС

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 22 სექტემბრის № 657
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადება“ შექმნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 თებერვლის № 163 და 1977 წლის 7 ივნისის № 457 დადგენილებათა საფუძველზე დამზადების რაიონული გაერთიანებების რწმუნებულთა დამფუძნებელი კრების მიერ (ოქმი № 1 1977 წლის 10 სექტემბერი) და მის მეპაიეებად გაერთიანებული არიან თანდართულ ნუსხაში ჩამოთვლილი საწარმოო ორგანიზაციები.

2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადება““ იმყოფება სრულ სამეურნეო ანგარიშზე. მას დადგენილი წესით აქვს საკუთარი საბრუნავი სახსრები, საკუთარი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, გერბიანი მრგვალი ბეჭედი, კუთხის შტამპი თავისი სახელწოდებით. გაერთიანება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და ექვემდებარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

— „საქსოფლდამზადების“ ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

3. „საქსოფლდამზადება“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, მეპაიე დამზადების რაიონული გაერთიანებების რწმუნებულთა კრების დადგენილებებითა და ამ დებულებით.

### II. მიზნები და ამოცანები

4. „საქსოფლდამზადება“ რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას.

5. „საქსოფლდამზადება“ თავის ფუნქციებს ახორციელებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) დამზადების გაერთიანებათა და ადგილობრივი საასოფლო-სამეურნეო ორგანოების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო და რაიონული (საქალაქო) დამზადების გაერთიანებებში მეპაიე წევრებად გაერთიანდებიან რესპუბლიკის კოლმეურნეობანი და სამეურნეო-თაშორისო საწარმოები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქჯიშთესლის“ სახელმწიფო მეურნეობები და საწარმოები, რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების საბჭოთა მეურნეობები და სახელმწიფო მეურნეობები.

6. „საქსოფლდამზადება“ რესპუბლიკის მასშტაბით გეგმავს და ავითარებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება-გადამუშავებისა და რეალიზაციის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას; აწყობს ტარის წარმოებას, სამაცივრო მეურნეობას, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებას და ავტოსატრანსპორტო საწარმოებს.

ხელს უწყობს მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით, საწარმოო ინვენტარითა და სხვა საშუალებებით მოსახლეობის მომარაგებას, აგრეთვე ნამეტი პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაციის სრულყოფასა და პირად მეურნეობაში პროდუქციის წარმოების ზრდას.

## III. „საქსოფლდამზადების“ საშუალებანი

7. „საქსოფლდამზადების“ საშუალებებს წარმოადგენს მეპაიე დამზადების საოლქო და რაიონული (საქალაქო) გაერთიანებისაგან მიღებული ანარიცხები და საკუთარი საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

8. „საქსოფლდამზადება“ ქმნის საწესდებო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების, სარეზერვო, მატერიალური წახალისებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდებს.

დამზადების რაიონული გაერთიანებანი რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ ანგარიშზე გადარიცხავენ:

მეპაიე მეურნეობებისაგან შემოსული ანარიცხების, საკუთარი საქმიანობით მიღებული მოგების, მეურნეობების მიერ რეალიზებულ პროდუქციაზე დარიცხული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების სამპროცენტიანი ანარიცხების ნაწილს „საქსოფლდამზადების“ რწმუნებულთა კრების მიერ დადგენილი ოდენობით.

„საქსოფლდამზადების“ ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი წარმოქმნიან მის საწესდებო ფონდს.

9. ფონდების ოდენობას და მათი ხარჯვის წესს განსაზღვრავს რწმუნებულთა კრება. სარეზერვო ფონდის სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რესპუბლიკის ცალკეული რაიონების დამზადების გაერთიანებათა და მეურნეობათა ზარალის დასაფარავად, რომელიც მათ განიცადეს დამზადების დარგში გაწეული საქმიანობით.

10. „საქსოფლდამზადება“ არსებული წესით განაგებს მასზე გაპიროვნებულ ქონებას, რომელიც წილობრივი მონაწილეობის წესით ეკუთვნის მეპაიე მეურნეობებს. იგი თავისი ვალდებულებით პასუხს აგებს ზემოაღნიშნულ ქო-

ნებაზე, რომელზედაც კანონმდებლობით შეიძლება მიმართულ იქნეს გადასადგ-
ვინება.

## IV. სამეურნეო-საწარმოო საქმიანობა

11. „საქსოფლდამზადება“ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) დამზადების გაერთიანებებს უზრუნველყოფს საერთო საკავშირო ფონდში, ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებში, სამრეწველო გადამუშავებისა და სხვა დანიშნულებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების განრიგებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული გამოყენების გეგმის შესაბამისად.

12. „საქსოფლდამზადება“ ორგანიზაციას უწევს დამზადების გაერთიანებებსა და მყიდველ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებათა გაფორმებას, ღებულობს ზომებს დამზადებისა და გადატვირთვის ვალდებულებათა შესრულებისათვის. უზრუნველყოფს ტარის, ტარა-მასალისა და სატრანსპორტო საშუალებათა რაიონული გაერთიანებებისა და მეურნეობებისათვის დროულ მიწოდებას.

13. „საქსოფლდამზადება“ კონტროლს უწევს გაერთიანებებსა და მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის გეგმის შესრულებას; სახელმწიფო, საფინანსო და ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვას, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მყიდველებთან და მოიჯარეებთან ანგარიშსწორების სისწორეს, ფულადი და მატერიალური სახსრების დაცვას და დანიშნულებით ხარჯვას.

14. „საქსოფლდამზადება“ დამზადების რაიონული გაერთიანების მასალების საფუძველზე უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის ზეგეგმით მიყიდული პროდუქციის ფასდანამატის მიღებას და მეურნეობებისათვის ჩარიცხვას.

15. „საქსოფლდამზადება“ ამარაგებს რაიონულ გაერთიანებებს პროდუქციის შესყიდვის შინასამეურნეო გაფორმებისათვის საჭირო ფორმებით, ინსტრუქციებით, მითითებებითა და პრეისკურანტებით.

16. „საქსოფლდამზადება“ განაზოგადებს თავის სისტემაში კანონმდებლობის შეფარდების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

17. „საქსოფლდამზადება“ მონაწილეობს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ბაღჩეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შესასყიდი (ჩასაბარებელი) და საცალო ფასების შესახებ წინადადებათა შემუშავებაში, მისცემს დასკვნებს ამ პროდუქტების სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებზე.

18. „საქსოფლდამზადება“ გაერთიანების სისტემაში აწყობს დაწესებული ფორმებისა და მაჩვენებლების მიხედვით აღრიცხვა-ანგარიშგებას, ღებულობს ზომებს მისი სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის.

19. „საქსოფლდამზადება“ განიხილავს და დაამტკიცებს დამზადების გაერთიანებათა ანგარიშებსა და ბალანსებს და შეადგენს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს გაერთიანების საქმიანობის მიხედვით.

20. „საქსოფლდამზადება“ ეწევა ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, ფულად და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის და აღრიცხვა-ანგარიშსწორების უტყუარობის შემოწმებას. იღებს ზომებს დამნაშავე პირების მიერ გაერთიანებებისათვის მიყენებული ზარალის გადახდევინებისათვის დადგენილი წესით.

21. „საქსოფლდამზადება“ თავისი სისტემის ორგანიზაციებში აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, ამოწმებს შედეგებს და ახდენს მის განზოგადებას.

22. დამზადების გაერთიანებათა მოგება განაწილდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილების მიხედვით, ხოლო დამზადების საქმიანობით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების მიერ მიღებული მოგება — ამ საწარმოებში დადგენილი მოგების განაწილების წესის მიხედვით.

## V. მართვის ორგანოები

23. „საქსოფლდამზადების“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო და რაიონული დამზადების გაერთიანებების რწმუნებულთა კრება.

რწმუნებულები აირჩევიან დამზადების გაერთიანებათა მეპაიე მეურნეობების რწმუნებულთა კრებებზე სამი წლის ვადით „საქსოფლდამზადების“ საბჭოს მიერ დადგენილი ნორმით.

24. „საქსოფლდამზადების რწმუნებულთა კრება:

— განსაზღვრავს რიცხობრივ შემადგენლობას და სამი წლის ვადით, ღია კენჭის ყრით აირჩევს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, გაერთიანების საბჭოსა და სარევიზიო კომისიას;

—განიხილავს წლიურ ანგარიშს, საწარმოო გეგმებს, ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პერსპექტიულ გეგმებს;

— განიხილავს ანარიცხების შეტანისაგან ზარალიან და დაბალრენტაბელურ დამზადების გაერთიანებათა გათავისუფლებისა და მათთვის დახმარების გაწევის საკითხებს;

— განსაზღვრავს დამზადების გაერთიანებათა მიერ რესპუბლიკური გაერთიანების ანგარიშზე შესატანი ანარიცხების ოდენობას;

— განიხილავს განცხადებებს გაერთიანების შემადგენლობაში მეპაიე წევრებად შესვლისა და გაერთიანებიდან გასვლის შესახებ.

25. „საქსოფლდამზადების“ რწმუნებულთა კრება მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთისა, რწმუნებულთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება რწმუნებულთა სამი მეოთხედი მაინც.

გადაწყვეტილებანი მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.

26. „საქსოფლდამზადების“ საბჭო:

— წინასწარი განხილვის წესით განიხილავს გაერთიანების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, საწარმოო გეგმებს, საწარმოო ბაზის განვითარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსპექტიულ გეგმებს, ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს და თავის წინადადებებს წარუდგენს რწმუნებულთა კრებას;

— მოამზადებს და მოიწვევს „საქსოფლდამზადების“ რწმუნებულთა კრებას;

— წყვეტს მთავარი სპეციალისტისა და მთავარი ბუღალტრის სამუშაოზე მიღება-გათავისუფლების საკითხებს;

— უმტკიცებს დამზადების გაერთიანებებს პროდუქციის გადატვირთვის განრიგების განაწილებას;

— განიხილავს ყველა სხვა საკითხს, რაც დაკავშირებულია გაერთიანების საქმიანობასთან.

27. „საქსოფლდამზადების“ საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც.

საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ სამი მეოთხედისა. გადაწყვეტილებანი მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.

28. „საქსოფლდამზადების“ თავმჯდომარე:

— ხელმძღვანელობს გაერთიანების მთელი სისტემის საქმიანობას და პერსონალურად პასუხისმგებელია გაერთიანებაზე დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის;

— თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სისტემის ორგანიზაციებისათვის შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონმდებლობის, ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და ბრძანებების საფუძველზე;

— სამუშაოზე მიიღებს და სამუშაოდან გაათავისუფლებს მუშაკებს, ხოლო მის მიერ მთავარი სპეციალისტების მიღება-გათავისუფლებას შემდგომში ამტკიცებს საბჭო;

— წარმომადგენლობს „საქსოფლდამზადებას“ და იცავს მის ინტერესებს სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მინდობილობის გარეშე; გასცემს მინდობილობებს თავის უფლების გადანდობით;

— განსაზღვრავს გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფების მოვალეობას;

— მთავარ ბუღალტერთან ერთად ხელს აწერს მინდობილობებსა და სხვა საბუთებს, რომლებიც წარმოადგენენ ფულადი და მატერიალური სახსრების მიღების საფუძველს, აგრეთვე ხელს აწერს გაერთიანების ბალანსებსა და ანგარიშებს.

## IV. აღრიცხვა-ანგარიშგება და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია

29. „საქსოფლდამზადება“ დადგენილი წესისა და ფორმების მიხედვით აწარმოებს აღრიცხვა-ანგარიშგებას და წარადგენს მას დადგენილი წესის მიხედვით.

30. „საქსოფლდამზადების“ რევიზიას აწარმოებს სარევიზიო კომისია წელიწადში ერთხელ მაინც.

სარევიზიო კომისია ემორჩილება გაერთიანების რწმუნებულთა კრებას და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარევიზიო კომისიის წევრებს უფლება აქვთ მოსთხოვონ „საქსოფლდამზადების“ მუშაკებს სიტყვიერი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი მიცემულ შეკითხვებზე, მოიწვიონ გაერთიანების სპეციალისტები კონსულტაციებისა და საკითხების გარკვევისათვის.

სარევიზიო კომისიის წევრებს რევიზიის პერიოდში გაწეული შრომა აუნაზღაურდებათ რევიზიაზე ფაქტიურად დახარჯული დროისათვის, ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალო თვიური გამომუშავების მიხედვით.

## VII. „საქსოფლდამზადების“ საქმიანობის შეწყვეტა

31. „საქსოფლდამზადების“ საქმიანობის შეწყვეტა ხდება გაერთიანების მეპაიე წევრების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანხმობით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადებათა საფუძველზე.

32. „საქსოფლდამზადების“ საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ქონებიდან გადახდილი იქნება ყველა სახის კრედიტორული დავალიანება, ხოლო დანარჩენი განაწილდება მეპაიე მეურნეობებზე საპაიო შენატანის პროპორციულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის
სამინისტროს რესპუბლიკური გაერთია-
ნება „საქსოფლდამზადების“ დებულების
დანართი

# ნ უ ს ხ ა

## მეპაიე საწარმო-ორგანიზაციებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ სისტემაში

### მეპაიე საწარმო-ორგანიზაციების დასახელება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | „საქსოფლდამზადების“ | ახალქალაქის | რაიონული გაერთიანება |
| 2. | „ | ბოგდანოვკის | „ „ |
| 3. | „ | ახალციხის | „ „ |
| 4. | „ | ადიგენის | „ „ |
| 5. | „ | ასპინძის | „ „ |
| 6. | „ | ხაშურის | „ „ |
| 7. | „ | ქარელის | „ „ |
| 8. | „ | გორის | „ „ |
| 9. | „ | კასპის | „ „ |
| 10. | „ | ბორჯომის | „ „ |
| 11. | „ | საგარეჯოს | „ „ |
| 12. | „ | გურჯაანის | „ „ |
| 13. | „ | სიღნაღის | „ „ |
| 14. | „ | წითელწყაროს | „ „ |
| 15. | „ | თელავის | „ „ |
| 16. | „ | ახმეტის | „ „ |
| 17. | „ | ყვარლის | „ „ |
| 18. | „ | ლაგოდეხის | „ „ |
| 19. | „ | გარდაბნის | „ „ |
| 20. | „ | მცხეთის | „ „ |
| 21. | „ | მარნეულის | „ „ |
| 22. | „ | ბოლნისის | „ „ |
| 23. | „ | წალკის | „ „ |
| 24. | „ | დუშეთის | „ „ |
| 25. | „ | თეთრი წყაროს | „ „ |
| 26. | „ | დმანისის | „ „ |
| 27. | „ | თიანეთის | „ „ |
| 28. | „ | ყაზბეგის | „ „ |
| 29. | „ | სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაერთიანება | |
| 30. | „ | წყალტუბოს | რაიონული გაერთიანება |
| 31. | „ | სამტრედიის | „ „ |
| 32. | „ | წულუკიძის | „ „ |
| 33. | „ | ვანის | „ „ |
| 34. | „ | მაიაკოვსკის | „ „ |
| 35. | „ | ზესტაფონის | „ „ |
| 36. | „ | თერჯოლის | „ „ |
| 37. | „ | ქ. ჭიათურის ზონის გაერთიანება | |
| 38. | „ | საჩხერის | „ „ |
| 39. | „ | ქ. წყალტუბოს „ „ | |
| 40. | „ | ორჯონიკიძის | „ „ |
| 41. | „ | ქ. ტყიბულის „ „ | |
| 42. | „ | ონის | „ „ |
| 43. | „ | ამბროლაურის | „ „ |
| 44. | „ | ცაგერის | „ „ |
| 45. | „ | ლენტეხის | „ „ |
| 46. | „ | აბაშის | „ „ |
| 47. | „ | ცხაკაიას | „ „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 48. | „საქსოფლდამზადების“ | გეგეჭკორის | რაიონული გაერთიანება |
| 49. | „ | ზუგდიდის | „ „ |
| 50. | „ | ხობის | „ „ |
| 51. | „ | წალენჯიხის | „ „ |
| 52. | „ | ჩხოროწყუს | „ „ |
| 53. | „ | მახარაძის | „ „ |
| 54. | „ | ლანჩხუთის | „ „ |
| 55. | „ | ჩოხატაურის | „ „ |
| 56. | „ | აფხაზეთის ასსრ სოფლდამზადების გაერთიანება | |
| 57. | „ | აჭარის ასსრ სოფლდამზადების გაერთიანება | |

## 94 „საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისათვის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარების დაგზავნის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილების დამატების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისა, რომლებსაც ეგზავნებათ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარები, შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — ყველა სოციალურ-პოლიტიკური წიგნი, ბროშურა და ჟურნალი, აგრეთვე გაზეთი, რომლებსაც უშვებენ საქართველოს სსრ რესპუბლიკური გამომცემლობები, — თითო ცალი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977წ. 22 სექტემბერი, № 658.

## 95 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„155. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ № 1 სახლთსაშენებელი კომბინატის საცხოვრებელი სახლები.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 22 სექტემბერი, № 659.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 96 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 აგვისტოს № 735 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„გადასახადთა და სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა გადასახდელთა საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 აგვისტოს № 735 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 20 ოქტომბერი, № 711.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 20 ოქტომბრის № 711
დადგენილებით

# ნ უ ს ხ ა

## საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 აგვისტოს № 735 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-8 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 3 ოქტომბრის № 1268 დადგენილებისა „დაღუპულ მეომართა ოჯახებისა, სამამულო ომის ინვალიდებისა, დემობილიზებულებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“.

2. მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 30 მარტის № 275 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 1 ივნისის № 567 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1948 წლის 2 მაისს „1948 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების ხაზით საფინანსო ორგანოების მუშაობის ჩამორჩენილობის შესახებ“ მიღებული № 1465 დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე“, 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გარდა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 24 იანვრის № 81 დადგენილება „სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახების შეღავათების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 სექტემბრის № 1455 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთების მთავრობის მიერ დაწესებული ოდენობის უკანონოდ გადიდების საქმეში დაშვებული უხეში დარღვევების შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 აგვისტოს № 529 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარემონტო საწარმოების დაფინანსების გადაყვანის შესახებ საკავშირო ბიუჯეტიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტზე“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 3 სექტემბრის № 569 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების დაფინანსების გადაყვანის შესახებ საკავშირო ბიუჯეტიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტზე“.

8. მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილებისა „იმ კაპიტა-

ლური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე“.

---

## 97 გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 27 ოქტომბერი, № 728.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 27 ოქტომბრის № 728
დადგენილებით

# დ ე გ უ ლ ე ბ ა

## გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭოს შესახებ

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭოს მთავარი ამოცანა ის არის, რომ განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა და შეიმუშაოს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის მეთოდებისა და სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და წარმოუდგინოს სათანადო წინადადებანი ამ საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭო აღნიშნული მთავარი ამოცანის შესაბამისად:

ა) განიხილავს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე სახალხო მეურნეობაში მართვის შემდგომი სრულყოფის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლების და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემის შექმნის, ავტომატიზებულ სისტემათა მოქმედების პირობებში სამუშაოდ მართვის კადრების მომზადებისა და გადამზადების, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე მართვის სრულყოფის დარგში მეცნიერული კვლევის განვითარების საკითხებს;

ბ) კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საქმიანობას გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის დარგში, მართვის ავტომატიზებულ სისტემათა შესაქმნელად და მართვის რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემის ფარგლებში აღნიშნულ სისტემათა შეთავსებადობის უზრუნველსაყოფად;

გ) განაზოგადებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მუშაობის გამოცდილებას გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე მართვის მეთოდებისა და სტრუქტურის სრულყოფის, მართვის ავტომატიზებულ სისტემათა შემუშავებისა და დანერგვის, გამოთვლითი ცენტრების ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციის საქმეში, და მიიღებს ზომებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში ამ გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის.

3. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭოს უფლება აქვს:

ა) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელთა ინფორმაციები ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე მართვის სრულყოფის დავალებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ბ) მიიზიდოს გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე მართვის სრულყოფის ცალკეულ პრობლემათა შემუშავების საქმეში მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სპეციალისტები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მეცნიერები და სპეციალისტები;

გ) მოსთხოვოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო სამუშაოთა გეგმები და მართვის სფეროში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების დარგში სხვა ცნობები, რაც საჭიროა მართვის რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემის შექმნის სამუშაოთა განსახორციელებლად;

დ) შექმნას საბჭოს წევრთა და სხვა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთაგან სექციები, კომისიები და საექსპერტო ჯგუფები იმისათვის, რათა მოუმზადონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე მართვის სრულყოფის შესახებ.

4. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებითა და რეკომენდაციებით, აგრეთვე ამ დებულებით.

5. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებანი მისი კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულოა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, აფხაზე-

თის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისათვის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისათვის.

6. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭო თავისი საქმიანობის შესახებ პერიოდულად ჩააბარებს ანგარიშს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭოს საქმისწარმოებას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

---

## 98 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 26 აგვისტოს № 782 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობა-ს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებისა და დაკრედიტების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 26 აგვისტოს № 782 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 18 ივლისის № 523 დადგენილება „1946 წელს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებთან ბინათმშენებლობის შესახებ“.

2. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 246 დადგენილებისა „საწარმოების, მშენებლობათა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“ სახლის შესაძენად კრედიტის მიცემის ნაწილში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 ივლისის № 903 დადგენილება „სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშში საპროექტო ორგანიზაციების დაფინანსების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 10 ნოემბრის № 1595 დადგენილება „ახალ სახლებში სავაჭრო საწარმოების გაწყობისა და გახსნის მხრივ არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციის შესახებ“.

5. 1-ლი პუნქტი, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 4 მაისის № 512 დადგენილებისა „საპროექტო ორგანიზაციების გამსხვილებისა და წვრილი საპროექტო კანტორების ლიკვიდაციის შესახებ“.

6. მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 მარტის № 133 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის 1955 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ვადაჭკორია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 31 ოქტომბერი, № 736.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 99 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 ივლისის № 617 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საავტომობილო ტრანსპორტის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 ივლისის № 617 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო **ადგენს**:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 30 სექტემბრის № 1078 დადგენილება „ავტომობილებისა და მოტოციკლებისათვის ავტობენზინის და საცხები მასალების ხარჯვის ნორმების შესახებ“.

2. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 8 დეკემბრის № 1427 დადგენილებისა „ინდივიდუალურ მფლობელთა მსუბუქი ავტომობილების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ“.

3. მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 აგვისტოს № 1167 დადგენილებისა „სოიუზზაგოტტრანსის“ საქართველოს ავტოტრესტის საავტომობილო ტრანსპორტის სარემონტო-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მისი მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 20 ივნისის № 832 დადგენილება „რესპუბლიკური დაქვემდებარების საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

5. მე-2 პუნქტი, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-7 და მე-8 პუნქტები, მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 იანვრის № 24 დადგენილებისა „საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის შემდგომი გაფართოების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ვადაჭკორია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 31 ოქტომბერი, № 737.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 100 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 ივლისის № 619 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მუშათა ორგანიზებული შეგროვების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 ივლისის № 619 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 23 ივლისის № 556 დადგენილება „ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსათვის სასეზონო სამუშაოების ჩასატარებლად მუშახელის ორგანიზებული შეგროვების ნებართვის მიცემის შესახებ“;

ბ) 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 იანვრის № 14 დადგენილებისა „მუშათა ორგანიზებული შეგროვების ჩატარების მოწესრიგების შესახებ“;

გ) მე-2, მე-3, მე-4, მე-7, მე-9 და მე-11 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 20 მაისის № 684 დადგენილებისა „მუშათა ორგანიზებული შეგროვების ჩატარების წესის შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 ივლისის № 619 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 14 მაისის № 618 დადგენილება „სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს ხე-ტყის დამზადებაზე კოლმეურნეთა და კოლმეურნეობების საჭაპანო ტრანსპორტის მოზიდვისა და გამოყენების მოწესრიგების შესახებ“ (გარდა მე-2 პუნქტისა), რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 22 ივნისის № 298 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ვადაჭკორია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 31 ოქტომბერი, № 738.

## 101 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 აგვისტოს № 748 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სატყეო მეურნეობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 აგვისტოს № 748 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ვადაჭკორია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 31 ოქტომბერი, № 739.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 31 ოქტომბრის № 739
დადგენილებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნ უ ს ხ ა

## საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 აგვისტოს № 748 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 15 თებერვლის № 106 დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის ატენის ხეობის ტყეების გადაცემის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 6 ივნისის № 310 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1946 წელს დამატებითი ტყესაკაფი ფონდის გამოყოფის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 11 მაისის № 443 დადგენილება „საზიდრების, აკაზმულობისა და სხვა სახის სააღალო-სამეურნეო ინვენტარის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

4. მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 ივნისის № 610 დადგენილებისა „ნაკრძალებზე ტყეების მიმაგრებისა და მათში სატყეო მეურნეობის წარმოების კონტროლის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 25 აპრილის № 398 დადგენილება „საქართველოს სსრ ტყეების სატყეო-სანიხრე თანრიგებად განაწილებისა და ადგილობრივი ჯიშის მერქნის და მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალის ნიხრის შესახებ“, გარდა მე-8 პუნქტისა.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 10 იანვრის № 46 დადგენილება „1950 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ძრავების, ლოკომობილებისა და ავტომანქანების მომზადების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 1 აგვისტოს № 954 დადგენილება „სააღალო ნაწარმის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გაფართოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

8. 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები, მე-3 პუნქტი და მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 მარტის № 261 დადგენილებისა „საქართველოს სსრ 1951 წლის ტყესაკაფი ფონდის შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 მაისის № 622 დადგენილება „მევენახეობის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“.

10. მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 9 დეკემბრის № 1117 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტყეებში ტყესაკაფი ფონდის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

ინდექსი — 76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 1977 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/III-78 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 3. სააღრიცხვო თაბახი 3.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკვეთა № 1242 უე 03968 ტირაჟი 2190.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა